



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 15 ნოემბერი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 1 იანვარი 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი Master of Public Health (MPH)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ინგლისური ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ, 2018 წლის 26 იანვრის სხდომა N5; გადაწყვეტილება N21

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლობჯანიძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა, დირექტორი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ნოლაიძე - შპს ჯეო ჰოსპიტალის სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯილდა ჭეიშვილი - ალტე უნივერსიტეტი, მედიცინის სკოლის დეკანი. ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტი, დოქტორანტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანმა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ “საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ აკრედიტაცია მიიღო 2018 წელს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 26 იანვრის სხდომა N5; გადაწყვეტილება N21) საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით, სრული შესაბამისობით ყველა სტანდარტში.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს და გლობალურ დონეზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისადმი უდიდესი გამოწვევებისა და მოთხოვნების ზრდასთან დაკავშირებით. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის და ნორვეგიის არქტიკული/ტრომსოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად საქართველოში 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს დაბადების რეგისტრი (GBR), რაც მოითხოვდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი თაობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ საქართველოში ახლად დამკვიდრებული ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრების დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზის გამოყენებას, კვლევების ჩატარებას, რეკომენდაციების შემუშავებას.

აღნიშნული პროგრამა ნორვეგიის განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის Georgian-Norwegian Collaborative in Public Health ფარგლებში ნორვეგიის არქტიკული/ტრომსოს უნივერსიტეტის პროფესურასთან მჭიდრო

თანამშრომლობით ამუშავდა 2018 წლიდან, მიიღო პირველი მაგისტრანტები როგორც საქართველოს, ასევე უცხოენოვანი საერთაშორისო სტუდენტები. ყავს კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებით არიან დასაქმებულები. აღნიშნული პროგრამა შეესაბამება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში წარმოდგენილ განათლების სტანდარტებს, რომელიც განსაზღვრული აქვს ASPHER (ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების ასოციაცია) ორგანიზაციას. პროგრამა არის ორი წლიანი, წარმოდგენილია 120 ECTS ის მოცულობით, მ.შ. 30 ECTS მიძღვნილია კრედიტი სამაგისტრო კვლევით ნაშროზე, 80 ECTS ძირითად, ხოლო 10 ECTS არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება 2021 წლის 03 ნოემბრის №1181211-ის შესაბამისად ა.წ. 15 ნოემბერს შედგა ონლაინ ვიზიტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, სრულად შედგა დღის წესრიგით განსაზღვრული აკრედიტაციის სესიები, რომელიც ჩატარდა კოლეგიალურ და მშვიდ, საქმიან, კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრები განხორციელდა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან. მოხდა ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - სრული შესაბამისობა

სტანდარტი -2 მეტწილად შესაბამისობა

სტანდარტი 3 სრული შესაბამისობა

სტანდარტი 4 სრული შესაბამისობა

სტანდარტი 5 - სრული შესაბამისობა

▪ რეკომენდაციები

1. - 1.1 / რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, წარმოჩნდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს, კომპეტენციებს გამოუმუშავებს, იძლევა პროგრამა რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი: რეკომენდაციაზე კომენტარი არ არის.

ექსპერტთა პოზიცია : პოზიცია უცვლელია /დეტალური აღწერა იხილეთ 1.1. სტანდარტი/

2. - 2.1 / რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურების მოთხოვნა მიღების წინაპირობების საერთაშორისო გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.

ინსტიტუციის არგუმენტირებული პასუხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მიღების წინაპირობებში გლობალურ დონეზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქვეყნების და უნივერსიტეტების მიხედვით. მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების გარეშე უმეას უნივერსიტეტში (შვედეთი) მიიღებიან სოციალური და ქვეყნითი მეცნიერებების ბაკალავრები¹, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯში (დიდი ბრიტანეთი) მიიღებიან ბიოლოგიური და გარემოს მეცნიერებათა ბაკალავრები, ევროკავშირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე (Erasmus Europubhealth), რომლის განხორციელებაში ევროპის რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტი (რენის უნივერსიტეტი/საფრანგეთი, შეფილდის უნივერსიტეტი/დიდი ბრიტანეთი, მასტრიხტის უნივერსიტეტი/ნიდერლანდები, დუბლინის უნივერსიტეტი/ირლანდია, გრანადას უნივერსიტეტი/ესპანეთი, იაგელონიანის უნივერსიტეტი/პოლონეთი) არის ჩართული, მიიღებიან სოციალური მეცნიერებების (სოციოლოგია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და სხვა) და ბიზნეს ადმინისტრაციის ბაკალავრები. ანალოგიური მრავალი საერთაშორისო გამოცდილების დასახელება შეიძლება, თუმცა რა თქმა უნდა, გვხვდება პროგრამებიც, რომლებიც ითხოვენ დამატებით სამუშაო გამოცდილებას ან პრაქტიკას საზოგადოებრივ ჯანდაცვაში (Internship in public Health), ჩვენი პარტნიორი არქტიკის ნორვეგიის უნივერსიტეტი პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტების მიღების წინაპირობად განსაზღვრავს საბაკალავრო დონეზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფილის საგნებში (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, გლობალური ჯანმრთელობა, ბიოსტატისტიკა, ჯანმრთელობის სოციოლოგია და სხვა) 80 ECTS კრედიტს. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის სხვა ქვეყნების გამოცდილებისგანაც. გარკვეულწილად ის უკავშირდება ჯანდაცვის სფეროში მრავალრიცხოვანი პროგრამების არსებობას და არაჯანდაცვითი სპეციალობის სტუდენტების მიერ ამ პროგრამების 80 ECTS კრედიტიანი მოცულობის „მოდულის“ ინტეგრირების საშუალებას მათ ძირითად სწავლის სფეროსთან საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. მოგეხსენებათ, საქართველოში მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014-2021 წლების დინამიკაზე დაყრდნობით და სხვა მრავალრიცხოვანი კვლევების მონაცემების მიხედვით საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონეა, ხოლო დასაქმებულებში ტრადიციულად თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილია. აღნიშნული ტენდენციის და სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით საქართველოში მოქმედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამებს მიღების წინაპირობად არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისათვის არ აქვთ განსაზღვრული მიზნობრივი სამუშაო და სხვა გამოცდილება.

შესაბამისად, მიუხედავად საერთაშორისო გამოცდილებით დადასტურებული არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისათვის სამაგისტრო პროგრამაზე ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების გარეშე მიღების პრაქტიკისა, საერთაშორისო და ადგილობრივი თავისებურებების, ქართულენოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობაში იგივე მიდგომით სწავლის შედეგებზე გასვლის 20 წლიანი გამოცდილების, სამაგისტრო პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, პროგრამის შემუშავებაში ჩართული ნორვეგიელი კოლეგების, მათ შორის პროგრამის კოორდინატორი პროფესორი ტორალფ ჰასვოლდის და სხვა საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციების საფუძველზე, არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან რელევანტური ცოდნისა და უნარების დადასტურებისთვის განისაზღვრა 5 ECTS კრედიტი.

მიზნობრივი სამუშაო გამოცდილება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში შესაძლებელია სასურველ, და არა სავალდებულო პირობად განისაზღვროს არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია უპირატესად რჩევის ხასიათს ატარებს.

ექსპერტთა პოზიცია : პოზიცია უცვლელია /დეტალური აღწერა იხილეთ 2.1. სტანდარტი/. შეჯამების სახით: საზოგადოებრივი ჯანდაცვა თავისი შინაარსით მარავალდარგობრივია, ცნობილია, რომ საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით ისაზღვრება კვალიფიკაციები. საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის საბაკალავრო დონეზე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი მახასიათებლით აგებულ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს, რომელიც ფლობს საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის დადგენილ 7 კომპეტენციას (გარემოს მედიცინა, ეპიდემიოლოგია, სამედიცინო სტატისტიკა/ბიოსტატისტიკა/, დაავადებათა პრევენცია და სხვა) რაც საერთაშორისო სივრცეში აღიარებულ კომპეტენციების რელევანტურია. ბ) სწავლების სამაგისტრო საფეხურზე ღრმავდება დარგობრივი ცოდნა, ხდება დამოუკიდებელი კვლევისა და ანალიზის უნარს სათანადო ეთიკაზე დაფუძნებით შეძენა. შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრს შემდგომ დარგობრივ საგანმანათლებლო საფეხურზე ენიჭება კვალიფიკაცია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი“ (კოდი 0919.1.1) მისი შინაარსი უპირატესად ეფუძნება ჯანდაცვა- ინდივიდის, თემისა და პოპულაციის ჯანმრთელობის, მისი დეტერმინანტების სიღრმისეულ ცოდნას, ანალიზს, კვლევას. გ) ინტერდისციპლინური შინაარსის მქონე მაგისტრის კვალიფიკაცია ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაში, რაც ეფუძნება ჯანდაცვის (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის) და სოციალური კეთილდღეობის დეტალურ სფეროებს. აღნიშნული ინტერდისციპლინური ვიწრო სფერო იძლევა საშუალებას მეტად გამარტივებული, მინიმალური წინაპირობებით / ან მის გარეშე ინტერსექტორული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სათანადო საზოგადოებრივი ჯანდაცვითი შინაარსის პროგრამის, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის.

გამომდინარე, მოწოდებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის წინაპირობებში არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტისთვის ჩამოთვლილი მიმართულებებიდან ნებისმიერ ერთ-ერთში 5 ECTS კრედიტის ქონა, საბაზო დონეზე ვერ ფარავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების უმეტეს საკითხებს და მკაფიო არაა რატომ 5 ECTS ასეთი წინაპირობით.

რამდენად, ჯანდაცვის ვიწრო სფეროს დეტალური სფერო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად პროგრამის შინაარსი ეპიდემიოლოგიის, დაავადებათა პრევენცია-პროფილაქტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების მიხედვით გარკვეულ საწყის ცოდნასა და უნარებს მოიაზრებს, **ამდენად წინაპირობაც სათანადად უნდა იქნეს ფორმირებული.**

ცალკე განხილვის საკითხია ევროპულ სივრცეში / მაგალითად, Europubhealth+/ საქართველოს კანონმდებლობისგან რადიკალურად განსხვავებული 180 კრედიტიანი სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულების ან დამამთავრებელ ფაზაში მყოფ ბაკალავრთა წინაპირობების გარეშე საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2 წლიან მაგისტრატურაში (1 წელი 60 ECTS საბაზო კურსი არჩევითების ჩათვლით) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების არსებობა. ვფიქრობთ ცალსახად გათვალისწინება ძნელია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრატურაში არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის პირთა დარგობირვად უპირობო მიღების 20 წლიანი პრაქტიკა შესწავლას მოითხოვს ადრეულ ეტაპზე პროგრამების სწავლის შედეგების, მიღებულ კონტიგენტში არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტების წილისა და მათი დარგში შემდგომი კარიერის მიხედვით, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების მიმართ საერთაშორისო მოთხოვნების და შემდგომ მისი პროგრამებში იმპლემენტაციის გათვალისწინებით და სხვა, რის შემდეგ შევძლებთ მოწოდებული აზრის გაზიარებას.

3. - 2.3/ რეკომენდირებულია საგნებში ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა, სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი:

სრული ტექსტი იხილეთ დანართის სახით. ამონარიდი „...2022 წლის 27-28 აპრილს უკვე მიღებული გვაქვს დამფინანსებელი ორგანიზაციისგან (DIKU) ნორვეგიაში ოფიციალური მოწვევა, სწორედ აღნიშნულ პერიოდში განვახორციელებთ განახლებული გამოცემების შექმნას. პანდემიის დაწყებამდე ჩვენი ნორვეგიელი პარტნიორების საქართველოში ვიზიტის დროს უკვე გადმოგვეცა უახლესი გამოცემების თითო ეგზემპლარი, მათ შორის ეპიდემიოლოგიის 2019 წლის უახლესი გამოცემა და ჯანდაცვის ეკონომიკის და პოლიტიკის 2017 წლის (2009 წლის შემდგომი) მეორე გამოცემა, ეს უკანასკნელი სწორედ ის გამოცემაა, რომლის გამოყენება ექსპერტთა პანელის დასკვნაშია რეკომენდებული და რომელიც თსუ-ს აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისათვის უკვე ხელმისაწვდომია 7(დასტურდება თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით). თუმცა პროგრამის კურიკულუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სილაბუსებში ლიტერატურის გამოცემის წელის ჩანაცვლება მხოლოდ სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობით შექმნის შემდგომ, მით უმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით რომ, ეპიდემიოლოგიის მაგალითად 2014 და 2019 წლების გამოცემებს შორის არანაირი კონცეფტუალური განსხვავება არ არის. აქედან გამომდინარე ორივე კურსის სილაბუსებში მითითებულია სახელმძღვანელოების წინა გამოცემების წლები, რაც უფრო დიდი რაოდენობით არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.

თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დასახელებული საგნების სწავლება 2020/2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შემდეგ სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნება მხოლოდ 2022/2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, როდესაც სახელმძღვანელოების შექმნა დასრულებული იქნება, სილაბუსებში Epidemiology and Biostatistics I, II და Health Management, Economics and Policy ძირითადი ლიტერატურის განყოფილებაში გამოცემის წელის სრულ ჩანაცვლებამდე განხორციელდა შემდეგი სახის რედაქტირება:

- ჩანაწერს L. Gordis. Epidemiology, 2014 დაემატა „2019“ რედაქტირებული ვერსია: L. Gordis. Epidemiology, 2014; 2019.
- ჩანაწერს Jan Abel Olsen. Principles in health economics and policy, 2009 დაემატა „2017“ რედაქტირებული ვერსია: Jan Abel Olsen. Principles in health economics and policy, 2009; 2017. რაც შეეხება რეკომენდაციის ნაწილს, რომელიც ეხება მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას, სასწავლო კურსის „Health Management, Economics and Policy“ მიზანი მსრულ შესაბამისობაშია სწორედ იმ სახელმძღვანელოსთან, რომლის გამოყენების რეკომენდაციაც

გაცემულია ექსპერტთა პანელის დასკვნაში (გვ.17), და ამრიგად, შეესაბამება გაცხადებულ სწავლის შედეგებს. 10 სასწავლო კურსის „Epidemiology and Biostatistics I, II“ სწავლის შედეგების ფორმულირება ნაწილში „Knowledge and understanding“ დაუკავშირდა უშუალოდ სასწავლო კურსის სპეციფიკას და ნაწილი ფორმულირდა „იცის“ კონტექსტში, თუმცა ნაწილში აქცენტი გაკეთდა ფორმულაზე „იცის /და შეუძლია დემონსტრირება“, მაგალითად იცის პრევალენტობა, რაც უნდა დადასტურდეს მისი გამოთვლის დემონსტრირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოდნა ვერ დასტურდება. თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილების თანახმად კურსის „Epidemiology and Biostatistics I“ სწავლის შედეგების სამი ფრაზიდან და კურსის „Epidemiology and Biostatistics II“ სწავლის შედეგების ერთი ფრაზიდან ამოღებული იქნა ზმნები, რომელიც ასახავს „შეუძლია დემონსტრირება“, რაც დამტკიცებული იქნება პირველივე საბჭოს სხდომაზე.

არჩევითი სასწავლო კურსი „Global Health“ წარმოადგენს არქტივის ნორვეგიის უნივერსიტეტის ანალოგიურ სასწავლო კურსს. ძირითადი სახელმძღვანელო „Introduction to Global Health“ სრულად ფარავს კურსის ყველა თემას¹¹ და ფართოდ გამოიყენება ანალოგიური სასწავლო კურსის სწავლების პროცესში მსოფლიოს მასშტაბით¹², როგორც უკვე ავლიშნეთ, სახელმძღვანელოს განახლებული გამოცემა, რომელიც კონცეფტუალურად არ განსხვავდება წინა გამოცემისაგან, შექმნილი იქნება 2022 წელს. აქვე გვინდა ავლიშნოთ, სწავლების პროცესში სახელმძღვანელოს გარდა, სემინარულ მეცადინეობებზე სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის აქტიურად გამოიყენება უახლესი ყოველწლიურად განახლებადი სამეცნიერო ლიტერატურა.¹³, რაც ჩვენი პარტნიორი არქტიკული ნორვეგიის უნივერსიტეტის ანალოგიურად დანერგული გვაქვს არა მხოლოდ დასახელებულ ორ სავალდებულო და ერთ არჩევით, არამედ ყველა სხვა სასწავლო კურსშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია უპირატესად რჩევის ხასიათს ატარებს.“

ექსპერტთა პოზიცია : პოზიცია უცვლელია /დეტალური აღწერა იხილეთ 2.3. სტანდარტი/. დაწესებულება ფაქტობრივად ეთანხმება უახლესი ლიტერატურის გამოყენებას.

საგანში “ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა” მიზანი უახლესი ინფორმაციის მიწოდება და ჯანდაცვის სისტემაში რესურსების განაწილების დროს ეფექტურობისა და სამართლიანობის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერებაა. თუმცა სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტში მოწოდებულია სწავლის შედეგი:“LO1-დემონსტრირებს ჯანმრთელობის სისტემის ორგანიზაციის პრინციპების შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ ცოდნას; LO2-აანალიზებს ეკონომიური კონცეფციების მნიშვნელობას და აფასებს ბაზრის ლიმიტაციას ფინანსებსა და ჯანდაცვის ორგანიზაციაში; LO3 -დემონსტრირებს ყოვლისმომცველ ცოდნას ჯანდაცვის პოლიტიკის, სტრატეგიების, პროგრამების ანდ ინსტიტუტების შფასების ძირითად პრინციპებს და მეთოდებს“, რაც ნაკლებად თავსებადია მიზანთან; ასევე მიზანში ვერ იკითხება უნარების კომპონენტი (LO4-შეიმუშავოს ჯანდაცვის სტრატეგია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეთოდებსა და გაიდლაინებზე დაყრდნობით; LO5-ჩატარებული პროცედურის, ინტერვენციის და/ან პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება) ანუ ფორულირებების კორექცია უნდა მოხდეს შესაბამისად. გარდა ამისა, ძირითად ლიტერატურას უნდა დაემატოს Gill Walt “Health Policy. An Introduction to Process and Power”. , რაც გამოყენებულია პირველ ლექციაში და იკითხება დამატებით ლიტერატურაში (ვფიქრობთ ტექნიკური გადაცდომა უნდა იყოს).

ეპიდემიოლოგია ბიოსტატისტიკა I მიზანი შედეგთან მიმართებაში საჭიროებს კორექციას . „კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში, კერძოდ გაცნოს დაავადებების გავრცელების სიხშირე,

მოსახლეობის ჯანმრთელობის ინდიკატორები, ეპიდ-აფეთქების შესწავლის პრინციპები და ა.შ. ასევე **გაცნოს სტატისტიკის ძირითადი პრინციპები** (სარწმუნოების ინტერვალი, P - მნიშვნელობა). ეს არის მოსაძაღბელი კურსის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის მომდევნო კურსისათვის“ სწავლის შედეგი მაგ. უნარი - „...LO-6: ჩაატაროს ეპიდ. აფეთქების კვლევა, შეაჯამოს შედეგები და გამოიტანოს დასკვნები; LO-7: მოახდინოს ეპიდ-აფეთქების შედეგების ძირითადი მესიჯების კომუნიკაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებთან და ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებლებთან, როგორც ზეპირსიტყვიერი პრეზენტაციის ასევე პოსტერ-პრეზენტაციის სახით“. მსგავსია გლობალური ჯანმრთელობის საგანთან მიმართებაშიც. ეპიდემიოლოგია ბიოსტატისტიკა II საჭიროებს SPSS სასწავლო ლიტერატურის დამატებას. ვფიქრობთ ტექნიკური ხარვეზი უნდა იყოს.

2.6/ რეკომენდებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო განსაზღვრა მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი: სწორედ კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტური უკუკავშირის უზრუნველყოფისათვის, სპეციალურად სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის სილაბუსების გარდა დამატებით შემუშავებული იქნა დამოუკიდებელი სახელმძღვანელო „შეფასების კრიტერიუმების აღწერა - სტუდენტის სახელმძღვანელო“, რომელშიც ასახული იქნა რუბრიკები თვითოეული სასწავლო კურსისათვის (მათ შორის მაგალითად, Outbreak investigation/Report, Evaluation of the Plan of the Health Promotional Intervention, Writing application to the Ethics Committee, Homework assignment, Case/Scenario, Open Questions და სხვა). შესაბამისად, შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო სხვა დოკუმენტაციასთან ერთად მკაფიოდ ადასტურებს, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი, და რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სახელმძღვანელოში ასახული პრეზენტაციის შეფასებაში ჩასწორებული იქნა ტექნიკურად ცხრილში გამოტოვებული რუბრიკები (Content-4; Formal Part-4; Communication-2). რაც შეეხება ესეს შეფასებას, ესეს მაქსიმალური შეფასება არის 20 ქულიანი, 20 ქულიდან 8 ქულამდე რუბრიკები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც შეეხება 1-8 ქულობრივ ინტერვალს, მისი დაყოფა არ განხორციელდა იმის გამო, რომ აღნიშნული ინტერვალი ფარავს იმ შემთხვევებს, როდესაც გაცემული პასუხი არ შეესაბამება კვლევის არც ერთ საკითხს, რაც მოიაზრებს ინდივიდუალურ დონეზე ფართო სპექტრის შეცდომების და მათი კომბინაციების დაშვების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, 1-8 ქულობრივი ინტერვალის დაყოფის სამუშაო ვერსია უკვე წარმოდგენილია სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ, რაც რუბრიკების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სხვა წინადადებებთან ერთად განხილულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომაზე, რაც რუბრიკების განახლების/გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს.

მედიცინის ფაკულტეტის ყველა პროგრამის, მათ შორის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკების კიდევ უფრო მეტ დეტალიზებაზე და გაუმჯობესებაზე მუშაობა მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტური უკუკავშირის უზრუნველყოფისათვის

სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პერსპექტივით, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ რუბრიკების კიდევ უფრო მეტ დეტალიზებაზე და გაუმჯობესებაზე მუშაობა ვერ კვალიფიცირდება როგორც ისეთი „სუსტი მხარე“, რომელსაც ესაჭიროება დაძლევისათვის მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია უპირატესად რჩევის ხასიათს ატარებს.**

ექსპერტთა პოზიცია : პოზიცია უცვლელია /დეტალური აღწერა იხილეთ 2.6. სტანდარტი/ შეჯამების სახით. მოწოდებული რეკომენდაცია ზოგადია, ის გარდა ზემოთაღნიშნული საკითხებისა, ასევე მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაგებ ქულობრივი დეტალიზაციის საჭიროებას, ასევე აუცილებელია დასწრება/აქტივობის კომპონენტის შეფასების ჩაშლა - რა აქტივობებისა ან კრიტერიუმების მიხედვით ხდება 3 ლექცია/სემინარზე 1 ქულის მინიჭება, რეფერატი და რეფერატის პრეზენტაცია მოითხოვს ძირითადი კრიტერიუმების ჩაშლას მისი შესრულების თვისობრობის მიხედვით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2/ სასურველია გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნის კომპონენტის აღწერაში ტენიკური უზუსტობა

2.3/ სასურველია გადახედოთ იქნას სილაბუსებში მიზნისა და ცოდნის კომპონენტები ტექნიკური თვალსაზრისით.

2.4/ სასურველია ხელშეკრულებებში, ან დამატებების სახით მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, სავარაუდო პრაქტიკანტების/ მკვლევარების რაოდენობით

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2.3/ სილაბუსებში/კურსებში გამოყენებულია სწავლების მრავალი და თანამედროვე მეთოდები, რაც საუკეთესო პრაქტიკაა სწავლის შედეგების მისაღწევად.

5.2/ პროგრამის შეფასებაში ჩართული არიან საერთაშორისო ექსპერტები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ხორციელდება ხუთი უმიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტი: DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებული: Georgian-Norwegian Collaborative in Public Health; NIH (აშშ) დაფინანსებული ორი პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAsTern Europe და INITIatE - International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe; ევროკავშირის დაფინანსებული Erasmus + ორი პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)” და „Building Academic Capacity in Global Health in the Eastern Europe - Central Asia Region”.

საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ხანმოკლე და ერთსემესტრიანი მობილობა ნორვეგიაში, რუმინეთში, ნორვეგიის პროფესურასთან თანამშრომლობით ხორციელდება ერთობლივი კურსები.

5.3/პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტების, კურსდამთავრებულების ხელშეწყობას საერთაშორისო დონეებზე, რაც გულისხმობს სხვადასხვა საგრანტო პროგრამაში მათ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ასახვას მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მიზანია

უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალური ქსელის გარემოში, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგში მომავალი ლიდერებისათვის ფართო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შექმნა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.“ პროგრამის მიზანი ვერ წარმოაჩენს მკაფიოდ თუ რა ცოდნას აძლევს და რა უნარებს უმუშავებს, შესაბამისად კომპეტენციებს უვითარებს კურსდამთავრებულებს, რათა შეძლონ ადგილობრივ და გლობალურ დონეზე საზოგადოებრივი ჯანდაცვითი გამოწვევების გამკლავება. მიზანში „სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება“ იკითხება როგორც ერთ-ერთი მიზანი, რა გარემოში და როგორ მოამზადოს. შემდგომი მიზანი „... უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგში მომავალი ლიდერებისათვის ფართო ცოდნისა, უნარებისა და გამოცდილების შექმნა, რაც აუცილებელია...“ ცხადი არ არის, ანუ რა არის ის ფართო ცოდნა და უნარები, რომელიც სამაგისტრო დონეზე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევებზე რეაგირებას თვალნათვლივ ვერ იკითხება.

მედიცინის ფაკულტეტის მისია, სრულ შესაბამისობაშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მისიასთან. ფაკულტეტის მისია მოიცავს უნივერსიტეტის მისიას, „...ღირსეულად ატაროს საქართველოს პირველი ეროვნული უნივერსიტეტის სახელი, ისტორიულ პირველობასთან ერთად შეინარჩუნოს პირველობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, მიეკუთვნებოდეს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტთა რიცხვს, ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას“, რაც მედიცინის ფაკულტეტის მისიის შესაბამისია მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხთან მიმართებაში.

პროგრამის არსებული მიზანი თავსებადია ფაკულტეტის მისიასთან. რეალისტური და მიღწევადია, მიმართულია გამოწვევების რეაგირებაზე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, თუმცა საჭიროებს სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მკაფიოდ ჩამოყალიბებას (იხ. ზემო აბზაცი)

პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ -ის მიზანი საჯაროა ხელმისაწვდომია თსუ-ს/ მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - სამაგისტრო პროგრამის („საზოგადოებრივი ჯანდაცვა“) აღწერილობა (დანართი 1);
 - თსუ მისია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის #79 დადგენილება (დანართი 12);
 - თსუ მედიცინის ფაკულტეტის მისია - (დანართი 12);
 - თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა - (დანართი 12);
 - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი <https://www.tsu.ge>
 - ვიზიტის ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, წარმოჩნდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს, კომპეტენციებს გამოუმუშავებს, იძლევა პროგრამა რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p> ➤ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სწავლის შედეგები შესაბამისია სწავლების საფეხურის. ცოდნა-გაცნობიერება, მოითხოვს ტექნიკურად გამართვას, მასში წარმოდგენლია უნარების ნაწილიც. მაგალითად, „ახდენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონცეფციებისა და მეთოდების სიღრმისეულ და ფართე გაცნობიერების დემონსტრირებას, აანალიზებს, აფასებს და კრიტიკულად მსჯელობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და კულტურულ ასპექტებზე.“</p> <p>სწავლის შედეგები ფორმირებული და შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების კომიტეტის მიერ, რომელშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. ვინაიდან დღეისათვის საქართველოში დარგობრივი მახასიათებელი შემუშავებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხოლოდ საბაკალავრო საფეხურისთვის და არ მოიპოვება სამაგისტრო საფეხურისთვის, კურიკულუმის კომიტეტმა ძირითადად იხელმძღვანელა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო განათლების ASPHER საერთაშორისო სტანდარტებით. პროგრამას აქვს 9 ძირითადი სწავლის შედეგი. გასაზღვრულია მისაღწევი</p>

სწავლის შედეგების გაზომვის საშუალება და პერიოდულობა. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს.

კურსის ხელმძღვანელების მიერ მოხდა კურსის სასწავლო შედეგებიდან ერთიანი სასწავლო საგანმანათლებლო რუქის შექმნა.

შედეგების მიღწევა ხდება მრავალი სხვადასხვა სწავლების მეთოდებისა და შეფასებების(რომელიც ხორციელდება პერმანენტუად) ტექნიკა- ტენოლოგიების, ინფრასტრუქტურის გამოყენებით, საერთაშორისო მობილობითა და დამსაქმებლებთან მჭიდრო ურთიერთობების ფორმირებით.

პროგრამის შეფასებები გამოიყენება კურიკულუმის განვითარებისთვის. მაგალითად არჩევითი საგნებით გაძლიერებულ იქნა მაგისტრანტების არჩევითობა თვისობრივი კვლევის მეთოდებისა და პრაქტიკის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - სამაგისტრო პროგრამის („საზოგადოებრივი ჯანდაცვა“) აღწერილობა (დანართი 1);
 - სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
 - სწავლის შედეგების შეფასების ცხრილი (დანართი 4);
 - კონკრეტული კურსის და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილი (დანართი 4)
 - კურიკულუმის განვითარების კომიტეტის შემადგენლობა და სხდომები (დანართი 2).
 - ვიზიტის დრო ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნის კომპონენტის აღწერაში ტენიკური უზუსტობა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health) დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, თუმცა არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის პირობა არასაკმარისია ((სოციალური მეცნიერებები ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებში: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა, გარემოს ჯანრთელობა, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა- 5ECTS დადასტურების შემთხვევაში) სწავლის შედეგზე გასასვლელად. თუ გავითვალისწინებთ პარტნიორი უნივერსიტეტის არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტების მიღების წინაპირობებს, ის მოითხოვს საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან რელევანტური ცოდნისა და უნარების დადასტურებისთვის 80 ECTS ქონას. იხილეთ ბმული: Master Public Health</p>
--

atUiTtheArctic University of Norway https://en.uit.no/education/program/271255/public_health_-_master („...For students who hold a Bachelor's degree in Social Sciences or Natural Sciences, the degree must contain a minimum 80 ECTS (or equivalent) within the fields specific to the Master's degree programme in Public Health; epidemiology, health economics, biostatistics, health sociology, global- and environmental health“). უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროგრამები არის მულტისექტორიული და მსგავს შედეგებზე გადის. წინამდებარე პროგრამა კი მსგავსი სწავლის შედეგებითა და მოცულობით, მოითხოვს გაცილებით ნაკლებ კომპეტენციის დადასტურებას, რომელიც არაჯანდაცვითი აპლიკანტებისთვის წარმოდგება ასევე მრავალდარგობრივ მოთხოვნის სახით, სულ 5 ECTS და არ არის გამყარებული სხვა დამატებითი მოთხოვნებით, თუნდაც მიზნობრივი სამუშაო და სხვა გამოცდილებით, ან გამოცდა/გასაუბრების პრაქტიკით, რაც დაადასტურებდა არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტისთვის პროგრამის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

ინსტიტუციის არგუმენტირებული პასუხის მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით ისაზღვრება კვალიფიკაციები. საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის საბაკალავრო დონეზე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი მახასიათებლით აგებულ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს, რომელიც ფლობს საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის დადგენილ 7 კომპეტენციას (გარემოს მედიცინა, ეპიდემიოლოგია, სამედიცინო სტატისტიკა/ბიოსტატისტიკა/, დაავადებათა პრევენცია და სხვა) იხ. <https://eqe.ge/res/docs/N1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91.%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf>. რაც საერთაშორისო სივრცეში აღიარებულ კომპეტენციების რელევანტურია. ბ) სწავლების სამაგისტრო საფეხურზე ბაკალავრი იღრმავებს დარგობრივ ცოდნას, იძენს დამოუკიდებელი კვლევისა და ანალიზის უნარს სათანადო ეთიკაზე დაფუძნებით. შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრს შემდგომ დარგობრივ საგანმანათლებლო საფეხურზე ენიჭება კვალიფიკაცია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი“ (კოდი 0919.1.1) მისი შინაარსი უპირატესად ეფუძნება ჯანდაცვა-ინდივიდის, თემისა და პოპულაციის ჯანმრთელობის, მისი დეტერმინანტების სიღრმისეულ ცოდნას, ანალიზს, კვლევას (მაგ.: წინამდებარე პროგრამის ერთ-ერთი შედეგი: ანალიზებს, აფასებს და კრიტიკულად მსჯელობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებზე. გეგმავს და ანხორციელებს დამოუკიდებელ კვლევას საზოგადოებრივი ჯანდაცვაში). გ) ინტერდისციპლინური შინაარსის მქონე მაგისტრის კვალიფიკაცია ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაში. რაც ეფუძნება ჯანდაცვის (მ.შ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის) და სოციალური კეთილდღეობის დეტალურ სფეროებს. აღნიშნული ინტერდისციპლინური ვიწრო სფერო იძლევა საშუალებას მეტად გამარტივებული, მინიმალური წინაპირობებით / ან მის გარეშე ინტერსექტორული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სათანადო საზოგადოებრივი ჯანდაცვითი შინაარსის პროგრამის, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის.

გამომდინარე, მოწოდებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის წინაპირობებში არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტისთვის ჩამოთვლილი მიმართულებებიდან ნებისმიერ ერთ-ერთში 5 ECTS კრედიტის ქონა, საბაზო დონეზე ვერ ფარავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების უმეტეს საკითხებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოწოდებული პროგრამა შეიცავს ეპიდემიოლოგიის სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მოწოდებულ წიგნს Goerdis Epidemiology /5 edi., მედიცინის სტუდენტებისა და ოკუპაციური მედიცინის მუშაკებისთვის. შესაბამისად არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტისთვის უნდა არსებობდეს საწყისი სამედიცინო ბაზის იმისთვის, რომ შეისწავლოს მოწოდებული მასალა.

რამდენად, ჯანდაცვის ვიწრო სფეროს დეტალური სფერო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის

კვალიფიკაციის მისაღებად პროგრამის შინაარსი ეპიდემიოლოგიის, დაავადებათა პრევენცია-პროფილაქტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების მიხედვით გარკვეულ საწყის ცოდნასა და უნარებს მოიაზრებს, ამდენად წინაპირობაც სათანადად უნდა იქნეს ფორმირებული.

ცალკე განხილვის საკითხია ევროპულ სივრცეში / მაგალითად, Europubhealth+/ საქართველოს კანონმდებლობისგან რადიკალურად განსხვავებული 180 კრედიტიანი სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამების კურსამთავრებულების ან დამამთავრებელ ფაზაში მყოფ ბაკალავრთა წინაპირობების გარეშე საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2 წლიან მაგისტრატურაში (1 წელი 60 ECTS საბაზო კურსი არჩევითების ჩათვლით) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების არსებობა. ვფიქრობთ ცალსახად გათვალისწინება ძნელია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრატურაში არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის პირთა უპირობო მიღების 20 წლიანი პრაქტიკა შესწავლას მოითხოვს ადრეულ ეტაპზე პროგრამების სწავლის შედეგების, მიღებულ კონტიგენტში არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტების წილისა და მათი დარგში შემდგომი კარიერის მიხედვით, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების მიმართ საერთაშორისო მოთხოვნების და შემდგომ მისი პროგრამებში იმპლემენტაციის თვალსაზრისით და სხვა, რის შემდეგ შევძლებთ მოწოდებული აზრის გაზიარებას.

კურსები დალაგებულია წინაპირობების სრული გათვალისწინებით, შესაბამისად სწავლის შედეგებიც მიიღწევადა. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე („საზოგადოებრივი ჯანდაცვა“) დაშვების წინაპირობა არის სრულიად გამჭირვალე, ხოლო ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამიჯნულია ქართველი (ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები; საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი) და უცხოელი აპლიკანტებისათვის (საქართველოს კანონმდებლობის შესამაბისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სპეციალური ადმინისტრაციული აქტი, ბრძანება #224/52011 წ. 29 დეკემბერი).-

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების ინიციატივით და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ფაკულტეტი რეგულარულად ატარებს ე.წ. Debut Day-ისა და ღია კარის დღეებს, ამ დღეს ნებისმიერ მსურველს შეუძლია დაესწროს და ინფორმაცია მიიღოს უშუალოდ აკადემიური პერსონლისგან, მიიღოს ახსნა ბაზრის მოთხოვნებთან მოქმედი პროგრამის შედეგების შესაბამისობის შესახებ. პროგრამის მახასიათებლების, მათ შორის წინაპირობების შესახებ. აღნიშნული კარგი საშუალებაა სიღრმისეულად გაიაზროს და გაიგოს აპლიკანტმა, თუ რა ცოდნისა და უნარების დადასტურებებია საჭირო პროგრამის წარმატებით დასაძლევად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის („საზოგადოებრივი ჯანდაცვა“) შექმნილ საინფორმაციო პორტალზე ინფორმაცია სისტემატურად ახლდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- სილაბუსები
- თვითშეფასება
- ვებგვერდი (<http://mes.gov.ge/content.php?id=1131&lang=geo>)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურების მოთხოვნა მიღების წინაპირობების საერთაშორისო გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა ორი წელი (4 სემესტრი).

სწავლებისთვის გამოყოფილი 120 კრედიტიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობაა - 80 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსების - 10 კრედიტი, კვლევით კომპონენტს ეთმობა 30 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო სწავლების მეორე საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს გლობალიზებულ სამყაროში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფორმირებისა და მტკიცებულებითი მართვის თვალსაზრისით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამის პირველ სემესტრში აქცენტი კეთდება ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის შესწავლაზე.

მეორე სემესტრში გრძელდება ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის გაღრმავებული შესწავლა, ასევე საგნებს: ჯანდაცვის მენეჯმენტის, ეკონომიკისა და პოლიტიკა, გარემოს ჯანმრთელობა.

სწავლების მე-3 სემესტრში აქცენტი კეთდება კვლევითი მეთოდებს, სამეცნიერო წერასა და ბიოეთიკაზე, რომელიც ამზადებს მაგისტრანტს კვლევისა და კვლევითი ნაშრომის შესრულებისთვის. ამავე სემესტრშია რეკომენდირებული მაგისტრანტმა აიღოს არჩევითი საგნები, სულ 10 კრედიტის მოცულობით.

მე-4 სემესტრი სრულად დათმობილი აქვს მაგისტრანტის მიერ კვლევითი ნაშრომის შესრულებას, რომლის წარმატებით დაცვის მას ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი ხარისხი. Master of Public Health (MPH)

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

<ul style="list-style-type: none"> o სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სილაბუსები o პროგრამის თვითშეფასება o ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო გეგმა მკაფიო და ზუსტია. კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია, ფუნდამენტური საგნები, როგორცაა მაგ : ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა მოწოდებულია სწავლის დასაწყისში. მეტად კომბინირებული სპეციალიზებული საგნები როგორცაა ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გარემოს ჯანმრთელობა და სხვა მოწოდებულია შემდგომ სემესტრებში. ზოგადად სასწავლო კურსები ისეა გადანაწილებული, რომ სწავლების დასაწყისში მაგისტრანტი ეცნობა და იმუშავებს უნარებს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და კვლევითი უნარების მიმართულებით, სწავლების მესამე სემესტრში წარმოდგენილია სასწავლო კურსები რომლებიც ამზადებს მაგისტრანტს კვლევითი ნაშრომის აკადემიური დამუშავებისათვის ხოლო მეოთხე სემესტრი სრულად ეთმობა ამ წლების განმავლობაში მიღებული ცოდნისა და უნარების სინთეზს და მაგისტრანტის მიერ კვლევითი ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.

ძირითადი საგნები/სილაბუსები არის 10 ESTC მოცულობის, სულ 8 საგანი, 1 კრედიტი 25 სთ, სულ 250 სთ. საგნებში უმეტესწილად საკონტაქტო დრო შეადგენს 45 სთ -ს, რომელიც ფორმირდება სალექციო და პრაქტიკა/სემინარული სწავლებებისთვის საჭირო საკონტაქტო დროით. დამოუკიდებელი სამუშაო 205 სთ. არჩევითი საგნები 5 ESTC მოცულობისაა, 4 არჩევითი საგნიდან სტუდენტნი ირჩევენ 2-ს, სულ 10 ESTC. არჩევითია აგრეთვე „პრაქტიკა“ . სამაგისტრო ნაშრომი -30 ESTC მოცულობა.

სილაბუსების მიხედვით კურსების წინაპირობები ლოგიკურადაა განსაზღვრული. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა რელევანტურია, შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს, თუმცა რიგ საგნებში შესაძლოა მოხდეს მათი განახლება; მასალა ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და

უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. რიგი საგნების სწავლის შედეგებში, ცოდნის კომპონენტი ნაწილობრივ წარმოდგენილია უნარების ნაწილით, ან მოითხოვს სათანადო ჩანაწერის არსებობას (მაგალითად: ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა).

საგანი „ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა“ რომლის მიზანი ფაქტობრივად არის დარგის გაცნობითი დანიშნულების, შედეგები კი წარმოადგენს სამაგისტრო დონის სიღრმისეულ ცოდნას, შესაბამისად მიზანი საჭიროებს დაკორექტირებას სწავლის შედეგთან მიმართებაში

მაგ.: „სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მიაწოდოს უახლესი ინფორმაცია ჯანმრთელობის პოლიტიკის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის საკვანძო საკითხების შესახებ, ჯანდაცვის პრიორიტეტების განსაზღვრის პრინციპები. სასწავლო კურსი განიხილავს ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ურთიერთკავშირს ეკონომიკურ კონტექსტში. რესურსების მობილიზების, შეკრების და განაწილების საკითხებს ჯანდაცვაში. კურსის მიზანია მაგისტრანტმა გააცნობიეროს ჯანდაცვის სისტემაში რესურსების განაწილების დროს ეფექტურობისა და სამართლიანობის მიღწევის მნიშვნელობა“;

სწავლის შედეგი „LO1-დემონსტრირებს ჯანმრთელობის სისტემის ორგანიზაციის პრინციპების შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ ცოდნას;

LO2-აანალიზებს ეკონომიური კონცეფციების მნიშვნელობას და აფასებს ბაზრის ლიმიტაციას ფინანსებსა და ჯანდაცვის ორგანიზაციაში;

LO3 -დემონსტრირებს ყოვლისმომცველ ცოდნას ჯანდაცვის პოლიტიკის, სტრატეგიების, პროგრამების ანდ ინსტიტუტების შფასების ძირითად პრინციპებს და მეთოდებს;“ ანუ მოითხოვს ერთიანობაში ლოგიკურ გააზრებას მიზნისა და სწავლის შედეგების, „ყოვლისმომცველი ცოდნის“ ტერმინთან შინაარსობრივი შესაბამისობის წარმოჩენით.

საგანი „ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა“ ითხოვს გაშლას ჯანდაცვის მენეჯმენტის კომპონენტში. ძირითადი სასწავლო ლიტერატურა წარმოდგენილია (Jan Abel Olsen “Principles in Health Economics and Policy”. Oxford University Press, 2009. ISBN 978-0-19-923781-4), რომელიც ნაკლებად ასახავს ჯანდაცვის მენეჯმენტის კომპონენტისთვის საჭირო საკითხებს. აუცილებელია ეკონომიკა - პოლიტიკის ნაწილისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის კომპონენტებში

ერთგვარი ბალანსის დაცვა თემატიკების თვალსაზრისით, რათა მოხდეს ჯანდაცვის მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხების მეტი წარმოჩენა ჯანდაცვის დაწესებულების ორგანიზაციულ დონეზე. წარმოდგენილი ლიტერატურა, არის კარგად ფორმირებული ჯანმრთელობის ეკონომიკისა და პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელიც გამოიყენება ნორვეგიის არტქიკული უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაში სათანადო კურსის სწავლებაში. უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომი გამოცემა /2017 წელი <https://oxford.universitypressscholarship.com/view/10.1093/oso/9780198794837.001.0001/oso-9780198794837> / მოიცავს გლობალურად რელევანტურ, პოლიტიკაზე ორიენტირებულ მიდგომებს ჯანდაცვის პროცესების ეკონომიკური ანალიზისთვის. ვფიქრობთ, განახლებული ვერსია საინტერესო იქნება მოწოდებული კურსისთვის. ასევე აუცილებელი იქნება ძირითად ლიტერატურას დაემატოს ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით სამაგისტრო დონის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა. გლობალური ჯანმრთელობის ძირითადი ლიტერატურა ასევე მოითხოვს გაძლიერებას, რამეთუ წარმოდგენილია მხოლოდ შესავალით გლობალურ ჯანმრთელობაში (Kathryn H. Jacobsen. *Introduction to Global Health, Second Edition, 2014.*). დამხმარე ლიტერატურები რელევანტურადაა წარმოდგენილი. სილაბუსებში/კურსებში გამოყენებულია სწავლების მრავალი და თანამედროვე მეთოდები, რაც პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს, მათ მიერ გამოითქვა აზრი, რომ გარემოს ჯანმრთელობის კურსში სურსათის ნაწილი ყოფილიყო მეტად გაშლილი. ჯანდაცვის მენეჯმენტში აქტუალური ხარისხის კომპონენტი შესაბამისად წარმოჩენილიყო საგანში ჯანდაცვის მენეჯმენტი.

დაწესებულებიდან არგუმენტირებული პასუხის შემდეგ მეტი განმარტებისთვის აღვნიშნავთ რიგ საკითხებს: საგანში “ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა” მიზანი „...უახლესი ინფორმაციის მიწოდება და ჯანდაცვის სისტემაში რესურსების განაწილების დროს ეფექტურობისა და სამართლიანობის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერებაა. თუმცა სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტში მოწოდებულია „...**ღრმა და ყოვლისმომცველ ცოდნა და შეფასებები; რაც ნაკლებად თავსებადია მიზანთან;** ასევე მიზანში ვერ იკითხება უნარების კომპონენტი (LO4- შეიმუშავოს ჯანდაცვის სტრატეგია საზოგადოებრივი

ჯანდაცვის მეთოდებსა და გაიდლაინებზე დაყრდნობით; LO5-ჩატარებული პროცედურის, ინტერვენციის და/ან პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება) ანუ ფორმულირებები უნდა მოხდეს შესაბამისად. გარდა ამისა, ძირითად ლიტერატურას უნდა დაემატოს Gill Walt "Health Policy. An Introduction to Process and Power", რაც გამოყენებულია პირველ ლექციაში და იკითხება დამატებით ლიტერატურაში (ვფიქრობთ ტექნიკური გადაცდომა უნდა იყოს).

ეპიდემიოლოგია ბიოსტატისტიკა I მიზანი შედეგთან მიმართებაში საჭიროებს კორექციას . „კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში, კერძოდ გააცნოს დაავადებების გავრცელების სიხშირე, მოსახლეობის ჯანმრთელობის ინდიკატორები, ეპიდ-აფეთქების შესწავლის პრინციპები და ა.შ. ასევე გააცნოს სტატისტიკის ძირითადი პრინციპები (სარწმუნოების ინტერვალი, P - მნიშვნელობა).

ეს არის მოსამზადებელი კურსის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის მომდევნო კურსისათვის“ სწავლის შედეგი მაგ. უნარი - ...LO-6: ჩატაროს ეპიდ. აფეთქების კვლევა, შეაჯამოს შედეგები და გამოიტანოს დასკვნები; LO-7: მოახდინოს ეპიდ-აფეთქების შედეგელის ძირითადი მესიჯების კომუნიკაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებთან და ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებლებთან, როგორც ზეპირსიტყვიერი პრეზენტაციის ასევე პოსტერ-პრეზენტაციის სახით“ ასევე მოითხოვს თავსებადობას მიზანთან

რაც შეეხება ძირითადი ლიტერატურის „Gordis Epidemiology“2019 წლის მე-6 გამოცემას, ის მოიცავს თვითშეფასებისთვის განახლებულ კითხვებს, ასევე დამატებული აქვს გენეტიკური გლოსარიუმი, დამატებული აქვს გენეტიკური ეპიდემიოლოგიის შესახებ გაფართოებული ინფორმაცია, გაფართოებული ინფორმაცია სახელმწიფო პოლიტიკასა და ეპიდემიოლოგიის ურთიერთ მიმართებაზე, ეთიკურ და პროფესიონალურ ეპიდემიოლოგიაზე, რაც ქმნის დღევანდელ საზოგადოებაში მონაცემებზე დაფუძნებულ ეპიდემიოლოგიის როლისა და მნიშვნელობის გაგების მყარ საფუძველს. ამდენად მე-6 გამოცემა მეთოდურადაც გაუმჯობესებულია და თემატურადაც.

რაც შეეხება გლობალური ჯანმრთელობის კურსს ის „მიზნად ისახავს სტუდენტებს შეასწავლოს - ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორ უნდა შეფასდეს ჯანმრთელობა და რა არის ჯანმრთელობისა და ავადობის მთავარი მაჩვენებლები, რომელია ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი რისკის მქონე მოსახლეობის ჯგუფები; საფუძვლიანად გააცნოს მათ ჯანდაცვის მსოფლიო

მოდელები და სტრუქტურები; შეასწავლოს გლობალური ჯანმრთელობის ლექსიკონი და გლობალური ჯანმრთელობის შეფასების ძირითადი მეთოდები“ სწავლის შედეგებში ცოდნის კომპონენტში მოცემულია: “დემონსტრირებს გლობალური ჯანმრთელობის დეტერმინანტების **ღრმა ცოდნას**, განსაკუთრებით ინფექციური დაავადებების, კვების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასა და გარემოს ჰიგიენასთან მიმართებაში, მოსახლეობის ჯგუფები, რომელნიც ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.; ადამიანთა მასიურად დაავადების, უნარშეზღუდულობისა და სიკვდილის გამომწვევი მიზეზები მსოფლიოში“. უნარებთან მიმართებაში სტუდენტს შეუძლია:

„-ჯანმრთელობის საერთაშორისო პრობლემის ანალიზი და **ეფექტური და ადეკვატური საპასუხო ქმედების შემუშავება**.

-საერთაშორისო დონეზე, გადაუდებელ სიტუაციებში თუ განვითარებაზე ორიენტირებულ ჯანდაცვის სისტემებში მუშაობა.“

რაც ნაკლებად შესაბამისია მიზანთან.

წიგნი Kathryn H. Jacobsen. *Introduction to Global Health, Second Edition, 2014* -ის განახლებული Kathryn H. Jacobsen. *Introduction to Global Health, Second Edition, 2019* მე-3 ვერსია მოიცავს გლობალურ პრიორიტეტების წარმოდგენას, მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეტერმინანტების გააზრებას განახლებული და გამრავალფეროვნებული მონაცემების ფარგლებში, ლოგიკურად განახლებულია თემატიკები და შემოტანილია ახალი მაგალითები. სიღრმისეული ცოდნის მისაცემად საჭიროებს სათანადო ძირითადი ლიტერატურით გაძლიერებას.

ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II spss პაკეტის სწავლება წარმოებს სათანადო სასწავლო მასალის გარეშე, ვფიქრობთ, ტექნიკური გამორჩენა და მოითხოვს სასწავლო ლიტერატურის დამატებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- o სილაბუსები
- o თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

<p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> <p>საგნებში ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა, სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია გადახედოთ იქნას სილაბუსებში მიზნისა და ცოდნის კომპონენტები ტექნიკური თვალსაზრისით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>სილაბუსებში/კურსებში გამოყენებულია სწავლების მრავალი და თანამედროვე მეთოდები, რაც საუკეთესო პრაქტიკაა სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>➤ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად.</p> <p>პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომში.</p>

მეორე სემესტრის ბოლოს სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემას საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტისა და სავარაუდო ხელმძღვანელის მიერ შემოთავაზებული კვლევითი საკითხების სიიდან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტის მხრიდან განსხვავებული კვლევის თემატიკით დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს სამაგისტრო თემატიკის ინიცირება და შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელება. აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტაციის კარგ მაგალითს. საკვლევი არის შესაბამისი კვლევის კითხვარი, ეთიკური ასპექტებისა და მიღებული მონაცემების დამუშავება, წარმოებს სათანადო სტატისტიკური პლათფორმების გამოყენებით.

სილაბუსებში წარმოდგენილია მაგისტრანტებისთვის პროფესიული კომუნიკაციის, პრაქტიკული უნარების განვითარება ზეპირი, წერილობითი და საშემსრულებლო სახით (მაგ.: განსაზღვრულ თემატიკაზე პრეზენტაცია ჯგუფში, კვლევითი პროექტის მომზადება და წარდგენა, დიკუსია და სხვა), ასევე დარგობრივი თემატური მასალებიდან რეფერირება, მონაცემთა შეგროვება, გამოთვლა და სხვა. აღნიშნული უნარები ხელს უწყობს და გადის სწავლის შედეგებით განპირობებულ მოთხოვნებზე.

პრაქტიკის ბაზებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მეომრანდუმები/ხელშეკრულებები. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი და პრაქტიკული ნაწილი არ მოითხოვს ხანგრძლივად მაგისტრატის დაწესებულებაში/ველზე ყოფნას, მიზანშეწონილია პრაქტიკანტების, ან მკვლევარების სავარაუდო რაოდენობა დოკუმენტის დამატებით ნაწილში მაინც იყოს მითითებული, ასევე მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, რათა დაწესებულების მოლოდინი სწორად იყოს დაბალანსებული შესაძლებლობებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა
 - თვითშეფასების ანგარიში
 - სილაბუსები
 - ხელშეკრულებები/მეომრანდუმები
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია ხელშეკრულებებში, ან დამატებების სახით მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, სავარაუდო პრაქტიკანტების/მკვლევარების რაოდენობით</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.</p> <p>სწავლების მეთოდები არის მრავალფეროვანი, თანამედროვე: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები მულტიმედია პრეზენტაციების და აუდიო/ვიდეო მასალების გამოყენებით, მეცადინეობები კომპიუტერულ კლასში, ჯგუფში მუშაობა, საშინაო დავალებები და ქვიზები, პრეზენტაციები, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, დაკვირვება, შემთხვევაზე, პრობლემაზე, როლურ თამაშზე დაფუძნებული</p>

სწავლება, კრიტიკული ანალიზის მეთოდი, „დღის სიახლეები“, სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა, ელექტრონული სწავლება, დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები ეფექტურია და მაგისტრანტებისთვის მისაღები.

მაგალითად, „დღის სიახლეები“ მეთოდი მოითხოვს ჯანდაცვაში მნიშვნელოვანი საკითხის/პრობლემის/მიღწევის მოძიებას, სიღრმისეულ ანალიზით წარმოდგენას. აღნიშნული მეთოდი იძლევა მრავალ ინფორმაციას შორის შეარჩიოს მაგისტრანტმა მნიშვნელოვანი და მტკიცებულებითი ინფორმაცია, დაადასტუროს მისი სიახლე, ან გააქტიურების აქტუალობა. კრიტიკული ანალიზი დაფუძნებულია სამეცნიერო სტატიების, სიტუაციების კრიტიკულ მტკიცებულებით გააზრებასა და ინფორმაციის სინთეზზე. მაგისტრანტი ავითარებს მიზნობრივი, რელევანტური ლიტერატურის მოძიების უნარს, მტკიცებულებაზე დამყარებით ცემს და პასუხებს მნიშვნელოვან კითხვებს და სხვა. რაც უაღრესად მნიშვნელოვანი უნარია სწავლების სამაგისტრო საფეხურზე მყოფი პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა
 - თვითშეფასების ანგარიში
 - სილაბუსები
 - სტუდენტების კვლევა/ანგარიში
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებითი აქტივობები, რომლებიც განსაზღვრულია სილაბუსში (ქვიზი, დავალება, ესსე, პრეზენტაცია და სხვა). შუალედური შეფასებების ჯამური მაქსიმალური ქულა შეადგენს 60-ს, ხოლო დასკვნითი მაქსიმალური შეფასება 40 ქულას. დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად მაგისტრანტს დაგროვილი უნდა ჰქონდეს 31 ქულა. შეფასებები მრავალჯერადია (გარდა სამაგისტრო ნაშრომისა) და პროცედურები კანონმდებლობასთან შესაბამისად;

შეფასებათა სისტემა - დადებით შეფასება:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი უარყოფითი შეფასება:

- ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გაწერილი სილაბუსებში ხოლო შეფასების კრიტერიუმისათვის შედგენილი არის დოკუმენტი „შეფასების კრიტერიუმების აღწერა სტუდენტის სახელმძღვანელო“ რომელშიც ერთიანია მთელი პროგრამისთვის და გაწერილია ყველა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებით.

აღსანიშნავია, რომ რიგი შეფასების კომპონენტები (მაგ: ესსე) მოთხოვს უფრო მკაფიო

ჩამოყალიბებას, ასე მაგალითად : „1-8 ქულა: პასუხი მოცემულია, თუმცა კვლევის არც ერთ საკითხს არ შეესაბამება“. 1 ქულასა და 8 ქულას შორის დიაპაზონი დიდია, რთულია განსაზღვრა რა შემთხვევაში იწერება მაგალითად ზედა ზღვარი 8 ქულა ან ქვედა 1. შესაბამისად, მკაფიოდ განსაზღვრას საჭიროებს.

ასევე პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: „შინაარსი (4 ქულა) ფორმალური მხარე (4 ქულა) კომუნიკაცია(2 ქულა)“. წარმოდგენილი ცხადჰყოფს, რომ არ არის წარმოდგენილი ქულობრივი რანჟირება მაგისტრანტის პასუხის მოცემულობის მიხედვით. ანუ რა შემთხვევაში ფასდება მაგისტრანტი მაქსიმალური, ან სხვა ქულით. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს ცოდნისა და უნარის შეფასებების რანჟირება პასუხების სათანადო მდგომარეობის შესაბამისად.

სამაგისტრო ნაშრომს აფასებს ხელმძღვანელი და რეცენზენტი (დეპარტამენტიდან). ხელმძღვანელი შესაბამისი, სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის მქონე პირია. ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი შეფასება და რეკომენდაცია საგამოცდო კომისიის (მინიმუმ 3 წევრი გარდა ხელმძღვანელისა და ექსპერტისა) წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს. რამდენად ერთჯერადად ფასდება ნაშრომი, ამდენად სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ჩანაწერი „...ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი შეფასება“ უმჯობესია შეიცვალოს სათანადო ტერმინით, რეკომენდაციით ან სხვა, რადგან სიტყვა „შეფასებას“ აქვს უფრო გარკვეული ქულობრივი დატვირთვა თუმცა ამ სახით არ ხორციელდება.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით, მაქსიმალური 100 ქულა.

მნიშვნელოვანია შეფასების სისტემებში, რომლებიც წარმოდგენილია ინტერვალების ან ფიქსირებული სახით, სადაც შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულების რანჟირება მკაფიო კრიტერიუმების მიხედვით, რაც უზუნველყოფს მეტ გამჭრავლობისა და ეფექტურ უკუკავშირს

ინსტიტუციის არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად, რამდენად რეკომენდაცია ზოგადია, ის ასევე მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაგებ დეტალიზაციას ქულობრივი თვალსაზრისით, ასევე აუცილებელია დასწრების კომპონენტის შეფასების ჩაშლა - რა აქტივობებისა და კრიტერიუმების მიხედვით ხდება 3 ლექცია/სემინარზე 1 ქულის მინიჭება, რეფერატი და რეფერატის პრეზენტაცია მოითხოვს ძირითადი კრიტერიუმების ჩაშლას მისი შესრულების თვისობრიობის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა

<ul style="list-style-type: none"> o სილაბუსები o შეფასების კრიტერიუმების აღწერა სტუდენტის სახელმძღვანელო o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდირებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო განსაზღვრა მეტი გამჭვირვალებისა და ეფექტური უკუკავშირისთვის.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> ➤ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სემესტრული რეგისტრაციებისა და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მეშვეობით. გარდა ამისა, მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც ასევე მხარდაჭერას უწევს სტუდენტს აკადემიური, სოციალური და მენტალური ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები საკუთარი ელექტრონული ფოსტით აქტიურ კომუნიკაციაში არიან როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა <https://lms.tsu.ge/> რომელზეც თითოეული სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური პროფილი, ამავე ბაზის საშუალებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სააკადემიო განაცხადის გაგზავნის, რაც ასევე თვითმწიფასების ანგარიშიდან დასტურდება. სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა აღნიშნული ფუნქციონალის არსებობა, თუმცა არც ერთ მათგანს სწავლის პერიოდში არასდროს გამოუყენებია იგი და, შესაბამისად, არ ჰქონდათ მიღებული შეფასების გასაჩივრების გამოცდილება.

სტუდენტები ჩართული არიან ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა კვლევით პროექტებში, რაც დასტურდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით, ასევე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში მათ მიერ გამოქვეყნებული აბსტრაქტების მეშვეობით. გარდა ამისა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, კერძოდ კი ნორვეგიის ჩრდილოეთ არქტიკულ უნივერსიტეტში (ტრომსო), ბაბემ-ბოლიას უნივერსიტეტში (კლუჟ-ნაპოკა, რუმინეთი) "ხანმოკლე" და სრული აკადემიური სემესტრის განმავლობაში ხორციელდება მობილობები როგორც ადგილზე, ასევე ვირტუალურ რეჟიმში აიოვას უნივერსიტეტში, სტუდენტები გადიან პროგრამით გათვალისწინებულ კურსებს.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აკადემიური მიღწევების საფუძველზე მოიპოვონ სტიპენდიები. სტუდენტებს აქვთ დეტალური ინფორმაცია მატერიალური და ტექნიკური რესურსებისა და ბიბლიოთეკის შესახებ. COVID-19 პერიოდში, ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომი იყო ონლაინ რეჟიმში, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ინტერვიუების დროს მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებულმა ცოდნამ და

გამოცდილებამ დიდი წვლილი შეიტანა მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • სამაგისტრო პროგრამა; • თსუ მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი https://tsu.ge/; • https://lms.tsu.ge/; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეებით და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება რომ მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV/რეზიუმეების შესწავლისას და ინტერვიუების დროს მათთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება მიღებული განათლებით, პროფესიული პრაქტიკით, აკადემიური ნაშრომებით, სამეცნიერო აქტივობით და სხვ.</p> <p>აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულებთან საუბრისას დადასტურდა რომ მათი სამაგისტრო თეზისების ხელმძღვანელები ნაშრომზე მუშაობის პერიოდში თითოეულ</p>

ეტაპზე რეგულარულად უწევდნენ მათ კონსულტაციას. ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ მათ რეგულარული კონსულტაციები ჰქონდათ მაგისტრანტებთან.

სამაგისტრო პროგრამის პირველი გამოშვების მიერ დაცული სამაგისტრო ნაშრომების ნუსხითა და რამდენიმე დაცული სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის შემდეგ დადასტურდა, რომ მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ სათანადო კომპეტენციის კადრები. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება ადეკვატურია და შესაფერისია მაგისტრანტის მიერ საკვლევ თემასთან. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელები ითვალისწინებენ მაგისტრანტთა ინტერესს და ეხმარებიან, როგორც სამაგისტრო თემის, ისე კვლევის დიზაინის შერჩევასა და მის განხორციელებაში. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო რამდენიმე დაცულ სამაგისტრო ნაშრომს. რის საფუძველზეც დასტურდება, რომ სამაგისტრო ნაშრომები შესრულებული იყო აქტუალურ თემებზე, რომელიც პასუხობდა ნაშრომის შინაარსს და აგრეთვე, ყველა მოწოდებული ნაშრომი შესრულებული იყო აკადემიური წერის გაფორმების წესის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ. როგორც დაცული სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის შემდეგ დადასტურდა, სტუდენტების მიერ შერჩეული შიდა ტექსტური და გამოყენებული ლიტერატურის ციტირების ფორმატი მეტწილად თანხვედრაში იყო რომელიმე რეფერენსირების სტილთან (წარმოდგენილი 3 ნაშრომიდან სამივე ნაშრომი მეტწილად თანხვედრაში იყო ვანკუვერის სტილთან). რაც შეეხება ნაშრომების მოცულობას და ლიტერატურული წყაროების შინაარსს, სრულად შესაბამისი იყო როგორც სამაგისტრო ნაშრომების სათაურებთან ასევე შესასწავლ საკვლევ საკითხთან. აღსანიშნავია, თვითშეფასებაში მოწოდებულ ინფორმაცია ვიზიტის დროს ინტერვიუებითაც დადასტურდა, მიუხედავად იმისა რომ სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომებზე რეგისტრაციას და ინტენსიურად მუშაობას იწყებენ მე-4 სემესტრიდან, პროგრამის განხორციელების მე-3 სემესტრში როდესაც მაგისტრანტები გადიან პროგრამის 2 ძირითად საგანს Research Methods and Scientific Writing (10 erts) & Bioethics (10 erts), მათ შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ საკვლევ თემატიკა და აღნიშნულ სასწავლო კურსებზე სწავლის პროცესში ფოკუსირდნენ შერჩეული საკვლევ თემის მიმართულებით და ასევე შეავსონ ეთიკის საბჭოსთვის წარსადგენი სააპლიკაციო ფორმის ნიმუში, რომლის დასკვნის საფუძველზეც შეძლებენ კვლევაზე მუშაობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიერ ვიზიტის დროს და თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაცია, რომ სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადის დაცვაზე, დადასტურდა კურსდამთავრებულებთან საუბრისას, რომლებმაც აღნიშნეს რომ Turnitin-ის პლატფორმის გამოყენებით შემოწმდა მათი ნაშრომები ვიდრე წარადგენდნენ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების CV-ები
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომები;

<ul style="list-style-type: none"> • დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ხელმძღვანელები და მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხით, სწავლებისა და კვლევის გამოცდილებით, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებებით, სამეცნიერო აქტივობებით (გრანტები/პროექტები) და ტრენინგებში მონაწილეობით.

აკადემიურ თანამდებობებზე დაკავებულ პირებს აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და სათანადო სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება (პროფესორს არანაკლებ 6 და ასოცირებულ პროფესორს არანაკლებ 3 წლის გამოცდილება). სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა დასტურდება გამოქვეყნებული პუბლიკაციებით (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო გამოცემებში, მოხსენებები საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებზე და სხვა), საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობით ან მათში მონაწილეობით, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობით, სამეცნიერო მივლინებებით და სხვა.

მოწვეული პერსონალი, ასევე, ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, გამონაკლისია მოწვეული პედაგოგი ეკა რუაძე, რომელიც არის დოქტორანტი, ასევე, მათი უმრავლესობის კვლევის გამოცდილება დასტურდება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით, გიორგი ლობჯანიძის CV არ მოიცავს ინფორმაციას სამეცნიერო შრომების შესახებ (ფიქსირდება ინფორმაცია მხოლოდ კონფერენციებში მონაწილეობის თაობაზე).

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების / კოორდინატორების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამავდროულად, პროგრამას ჰყავს საერთაშორისო აკადემიური მრჩეველი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი/ტრომსოს უნივერსიტეტის პროფესორი ემერიტუსი. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული და ექსპერტული გამოცდილება პროგრამის შემუშავებისათვის, რაც დასტურდება როგორც მათი კვალიფიკაციისა და საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტაციით, ასევე, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით, ადგილობრივ და საერთაშორისო

კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებებითა და სამეცნიერო აქტივობებით. პროგრამის ხელმძღვანელი არის საერთაშორისო საგანმანათლებლო საგრანტო პროექტების მონაწილე/კოორდინატორი (მაგალითად, ევროგაერთიანების ერაზმუს + პროექტის - „გლობალურ ჯანმრთელობაში აკადემიური შესაძლებლობების გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (BACE)“ – 2020-2022 - მონაწილე, SIU (ნორვეგია) პროექტის - „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ – 2016-2022 - საქართველოს კოორდინატორი). პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებასა (ორი სავალდებულო კურსი, ხოლო ერთი მათგანი ჩართულია ელექტიურ კურსშიც) და სტუდენტების კონსულტირებაში. პროგრამის ხელმძღვანელი, ამავდროულად, არის ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისად, ჩართულია პროგრამის შეფასება/განვითარებაში.

მთლიანობაში, პროგრამის ხელმძღვანელების/კოორდინატორის, მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის ფარგლებში დაკავებულია 7 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი) და 4 მოწვეული პროფესორი; აფილირებული პერსონალის შეფარდება პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან არის 7/21, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა 11/21, რაც რიცხობრივად საკმარისია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (7/4) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სწავლების გარდა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემულია სილაბუსებში.

სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არიან ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი (4 პირი), რომლებიც არიან დარგში აღიარებული სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. ერთ სამაგისტრო ნაშრომს შეიძლება უძღვებოდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი. ფაკულტეტზე შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების ანალიზიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების სამეცნიერო საქმიანობის სპეციფიკა შესაბამისობაშია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ადმინისტრირებაზე მედიცინის ფაკულტეტი. პროგრამის განხორციელებაში, გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, ჩართულია ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (კანცელარია, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური - სულ 43 თანამშრომელი), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სწორ და ეფექტურ წარმართვას. სამწუხაროდ, წარმოდგენილი არ არის მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია., აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფს მისცემდა საშუალებას, შეეფასებინა მათი

კვალიფიკაციის შესაბამისობა განსახორციელებელ ფუნქციებთან. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის საკმარისი პროგრამის განხორციელებისათვის. პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც განისაზღვრება აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და/ან სამეცნიერო კვლევითი და სხვა ფუნქცი-მოვალეობების მიხედვით, ასევე, ხელშეკრულებებით დატვირთვასთან დაკავშირებული ვალდებულებებიდან გამომდინარე. პერსონალის დატვირთვა არის საკმარისი სასწავლო პროცესის წარმართვისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა - საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სამეცნიერო აქტივობები (გრანტები/პროექტები) და ტრეინინგები 5 წლის განმავლობაში
- მედიცინის ფაკულტეტის დებულება
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესი
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა
- თსუ-ის ვებ-გვერდი: <https://www.tsu.ge>
- მედიცინის ფაკულტეტის ვებგვერდი: <https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/>
- ვიზიტის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ზრუნვას აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე. მედიცინის ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის მე-7 მიზანი - „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა“ ითვალისწინებს უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის ტრენინგების/კურსების ორგანიზებას, ხოლო მე-10 მიზანი - „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება“ მოიცავს პერსონალის შეფასების სისტემის არსებობას. ამასთან, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესებასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხების სისტემურ ზრდას (ამოცანა 1.7), რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება ფაკულტეტზე საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა, უცხოეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე თსუ პროფესორებისა და დოქტორანტების მივლინების მხარდაჭერა, სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოცულობის ზრდა.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი მონაწილეობს ერაზმუსის პროგრამასა და ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში. კერძოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში მიმდინარეობს ხუთი საერთაშორისო პროექტი: DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებული: Georgian-Norwegian Collaborative in Public Health; NIH (აშშ) დაფინანსებული ორი პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAsTern Europe და INITIatE - International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe; ევროკავშირის დაფინანსებული Erasmus + ორი პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)“ და „Building Academic Capacity in Global Health in the Eastern Europe - Central Asia Region“.

საერთაშორისო პროექტები შესაძლებლობას იძლევა, განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მობილობა და განვითარება, ერთობლივი კვლევების განხორციელება, ერთობლივი პულიკაციების მომზადება და გამოქვეყნება.

კვლევითი საქმიანობის შეფასების და ანალიზის საფუძველზე დღის წესრიგში დადგა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის აუცილებლობა, რაც, ძირითადად, მიიღწევა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო

ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობითა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებით. შესაბამისად, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ხარისხიანი კვლევების, სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, რის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, რომლის ინიცირებით შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს, შექმნას მაღალრეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები (აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილება, ასევე, ამ დადგენილებაში 2017 წლის 27 მარტის #29 და #30 დადგენილებებით შეტანილი ცვლილებები). აღნიშნული მოთხოვნა სავალდებულო გახდა 2021 წლის აპრილიდან.

მედიცინის ფაკულტეტი რეგულარულად ატარებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას. სასწავლო საქმიანობა ფასდება სემესტრულად ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვით. შეფასების შედეგებს ანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელებს.

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხდება მედიცინის ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება თსუ-ს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად. ანგარიშები ეგზავნება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. ანგარიშის ელექტრონული ვერსიები ინახება მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში და განთავსებულია თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.

პერსონალის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი პროფესიული განვითარებისათვის, რაც მოიცავს პერსონალის ტრენინგს უცხოელი და ქართველი ტრენერების მონაწილეობით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობას, საერთაშორისო კონფერენციებზე მომხსენებლების წარდგენას.

შეფასების შედეგების გათვალისწინებით 2020 წელს მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის უცხოელი ტრენერების მიერ ჩატარდა 7, ხოლო ქართველი ტრენერების მიერ 18 უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელთა თემატიკა მოიცავდა საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნებას, მონაცემთა ანალიზს განათლების კვლევაში, ონლაინ-სწავლების ასპექტებს, ტესტების შექმნას MOODLE-ში, ონლაინ კურსის შექმნას MOODLE-ის პლატფორმაზე და სხვა.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ასევე, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები/ სემინარები. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი იმყოფებოდა სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებზე რუმინეთში, ნორვეგიაში, შვედეთში, მოლდოვაში, დიდ ბრიტანეთში.

მედიცინის ფაკულტეტზე ნაშრომების პუბლიკაციის ხელშეწყობის მიზნით დაარსებულია ინგლისურენოვანი on-line ჟურნალი „Translational and Clinical Medicine –Georgian Medical Journal“ (ჟურნალი ინდექსირებულია Google Scholar-ში; მასში ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა).

2020 წელს მედიცინის ფაკულტეტზე შეიქმნა მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო (9 წევრი), რომელშიც ჩართულნი არიან სხვადასხვა დარგის წამყვანი სამედიცინო ექსპერტები,

რომლებიც ნებაყოფლობით თანამშრომლობენ მედიცინის ფაკულტეტთან საგანმანათლებლო, კვლევით და პრაქტიკულ სფეროებში. მრჩეველთა საბჭო ხელს უწყობს ფაკულტეტზე კვლევებისა და განათლების მაღალი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლებას. მრჩეველთა საბჭო იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ, ამავე პერიოდში საგანგებოდ ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე; მრჩეველთა საბჭოს სხდომის ჩატარების ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მედიცინის ფაკულტეტი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან პერსონალის მივლინებებზე გამოყოფილი ასიგნებები 2016-2021 წლებში ხასიათდება მზარდი დინამიკით, რაც, ასევე, ფაკულტეტის მხრიდან პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ერთ-ერთი ინდიკატორია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თსუ-ის ვებ-გვერდი: <https://www.tsu.ge>
- აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილება
- ტრენინგები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის
- თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები
- მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებსა და ბიბლიოთეკის ფონდის განვითარებაზე გათვალისწინებული დაფინანსება
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის 29/2017 დადგენილება
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის 30/2017 დადგენილება

ვიზიტის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს გამართული ინფრასტრუქტურა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი, მაგისტრატურის სტუდენტთა კვლევითი სამუშაოების საჭიროებები და პრაქტიკული კომპონენტი უზრუნველყოფილია, ასევე, სასწავლო ბაზებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ძირითად სასწავლო ბაზას წარმოადგენს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ასევე, სხვა შესაბამისი ინსტიტუტები - ლუდუშაურის კლინიკა და ჰიგიენის ინსტიტუტი (სამივე ბაზასთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი).

სწავლება და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები მიმდინარეობს მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე (2 სასწავლო კორპუსი - მისამართი: თბილისი, ბელიაშვილის ქ. №78 და ვაჟა-ფშაველას გამზ. №44), სადაც ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტებისათვის: საკლასო და კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკები (ორივე ლოკაციაზე), ელექტრონული სწავლების და სწავლის პლატფორმა, ელექტრონულ რესურსებზე წვდომა, როგორცაა HINARI, Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR), სტუდენტებისათვის, ასევე, ხელმისაწვდომია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რესურსები (ოთახები, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ანგარიშები, მონაცემთა ბაზები, მონაცემები ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრებიდან). საჯარო ლექციები მიმდინარეობს ჭავჭავაძის №1-ში, სადაც განლაგებულია საკონფერენციო აუდიტორიები.

მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მუშაობა რეგულირდება თსუ-ის ბიბლიოთეკის დებულებით. ამასთან, პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით და სამკითხველო დარბაზებით, რომლებიც განთავსებულია თსუ-ს პირველ კორპუსში.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიბლიოთეკებში ყველა პირობაა შექმნილი სრულფასოვანი განათლებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის. კერძოდ:

ა) მისი ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, ჯგუფური მუშაობის სივრცეებს, კომპიუტერულ რესურს-ცენტრებს, წიგნსაცავებს და სხვა;

ბ) ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, მუდმივად ახლდება (სილაბუსების მიხედვით);

გ) თსუ-ის სტუდენტებს წვდომა აქვთ ელ. ბაზებში არსებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე, პუბლიკაციებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან და უნივერსიტეტის ქსელის გარედან. უნივერსიტეტში, აგრეთვე, ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული რესურსები:

<https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/>;

ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები ბაზებში Google Scholar, Web of Science, Scopus Clarivate Analytics Web of Science/Journal Citation Report, Elsevier, JSTOR, EBSCOHost, Springer, HINARI, Cambridge University Journals, GALLICA, Érudit, ALUKA, Internet Archive.

ბიბლიოთეკის პირობებში, ასევე შესაძლებელია ელექტრონული და ბეჭდური რიდერის მომზადება, რომელიც კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე საავტორო უფლებების სრული დაცვით ხდება.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და/ან შესაბამისი რიდერები განთავსებულია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის თსუ-ის ციფრული ბიბლიოთეკაში (Ebooks.tsu.ge).

შესაბამისად, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის საშუალებით, მომხმარებელს უზრუნველყოფს მისთვის საჭირო ყველა რესურსით.

უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი შიდა ელექტრონული პლატფორმა (LMS.TSU.GE), რომლის მეშვეობით ხორციელდება შეფასებების შეყვანა ელექტრონულ ჟურნალში. უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაც, რომლის გამოყენებითაც სტუდენტები ეცნობიან თავიანთ შეფასებას; მათ აქვთ საშუალება გაეცნონ პროგრამას, სილაბუსებს, მოახდინონ ინდივიდუალური ცხრილის ფორმირება. ეს

პორტალი გამოიყენება სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის.

უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს ადმინისტრაციის მიერ გახსნილი აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან (ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონების ჩათვლით), რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსსა და სამუშაო ჯგუფებს თუ პრაქტიკულ მეცადინეობებს. ასევე, თსუ-ის ელ-ფოსტის გააქტიურებით სტუდენტს შეუძლია უფასოდ ისარგებლოს ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით, რაც სწავლების და კვლევების პროცესში მუდმივად სჭირდება.

ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიყენება 2009 წლიდან.

უნივერსიტეტს აქვს საერთო საცხოვრებელი, რომლითაც სარგებლობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები.

უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტთა, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას თსუ-ს ინფრასტრუქტურით.

უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, მათ შორის პანდემიის პირობებში; ფაკულტეტმა მოახერხა უმოკლეს დროში გადაწყობა ონლაინ სწავლებაზე (მაგალითად, ZOOM-ისა და Turnitin -ის ლიცენზიების შეძენა), შესაბამისად სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში და შემდგომ პერიოდშიც.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას ხელს უწყობს საერთაშორისო პროექტებიც; მაგალითად, 2020 წელს მხოლოდ ერთი პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა 20 ათასი აშშ დოლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ბიბლიოთეკის რესურსები

https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/

- თსუ-ის ვებ-გვერდი <https://www.tsu.ge>
- მედიცინის ფაკულტეტის ვებგვერდი: <https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/>

<ul style="list-style-type: none"> ○ ელექტრონული რესურსები ○ მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ○ ბაზებთან ხელშეკრულებები/მემორანდუმები ○ ვიზიტის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება სტაბილურად მზარდი დინამიკით (2020 წელი COVID-პანდემიიდან გამომდინარე იყო გამონაკლისი). დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სტუდენტების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლები. პროგრამის სწავლის წლიური საფასური ქართველი (საქართველოს მოქალაქე) სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს, უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის კი 4500 აშშ\$. ქართველი და უცხოელი სტუდენტების ბალანსი უზრუნველყოფს (2019 წელს 10 ქართველი და 6 საერთაშორისო, ხოლო 2020 წელს კი 16 ქართველი და 4 საერთაშორისო სტუდენტი) პროგრამის მდგრადობას (მოგება 2019 წელს 27000 აშშ\$ და 500 ლარი, ხოლო 2020 წელს 18000 აშშ\$). შესაბამისად, უკანასკნელი წლების ბიუჯეტის მზარდი დინამიკა უჩვენებს, რომ ფაკულტეტს აქვს მყარი და გრძელვადიანი ფინანსური გარანტია განვითარებისათვის.</p>

პროგრამის დაფინანსების წყაროს, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტის გარდა, წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ამჟამად მიმდინარე ხუთი საერთაშორისო პროექტი: DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებული: Georgian-Norwegian Collaborative in Public Health; NIH (აშშ) დაფინანსებული ორი პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAstern Europe და INITIatE - International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe; ევროკავშირის დაფინანსებული Erasmus + პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)” და „Building Academic Capacity in Global Health in the Eastern Europe - Central Asia Region”.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ბიუჯეტი პროგრამის განხორციელებისთვის დამატებითი ფინანსური წყაროა, რომლის ფარგლებშიც ივარება, მაგალითად: პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება (კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები, ჰოლები, ტექნიკის შეძენა, რემონტი), ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პერმანენტული შევსება პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით, კონკურსის საფუძველზე (გრანტული წესით) სტუდენტური კვლევების დაფინანსებისათვის შექმნილი საუნივერსიტეტო ფონდი, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, საერთაშორისო კონფერენციებზე (კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე) იმ სტუდენტთა და თანამშრომელთა მივლინება, რომლებიც გამოდიან ზეპირი ან/და პოსტერული მოხსენებით, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე დაარსებულ ინგლისურენოვანი on-line ჟურნალის „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal” -ის ფუნქციონირება, სტუდენტების (როგორც ერთ-სემესტრიანი, ისე ხანმოკლე მობილობისთვის) მგზავრობის თანხა, სტიპენდიები, სავიზო მოსაკრებლის თანხა, დაზღვევის თანხა, უცხოეთში ცხოვრების ხარჯები, ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (“საზოგადოებრივი ჯანდაცვა”) განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის უცხოეთში უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების თანხები და სხვა.

2016 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ფაკულტეტის სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მოპოვებული გრანტების ჯამური ღირებულება აღემატება 1 000 000 ლარს და აღნიშნული არ არის ასახული ფაკულტეტის ბიუჯეტში.

ამავდროულად, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მედიცინის ფაკულტეტისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის რაოდენობა 2016-2021 წლებში ხასიათდება მზარდი დინამიკით, კერძოდ, ის გაიზარდა 2782900 ლარიდან 4325129 ლარამდე, მ.შ., გაიზარდა მივლინებებისა და სასწავლო და სამედიცინო აღჭურვილობისათვის გამოყოფილი ასიგნებები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის ბიუჯეტი
- საერთაშორისო პროექტების და ეროვნული პროექტების ბიუჯეტები
- ვიზიტის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტაციათა და გასაუმჯობესებელი იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა თსუ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ამკარაა, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების გზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების მომზადებაში, სტანდარტებთან მიმართებით ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. რასაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას მარეგულირებელი და მედიცინის ფაკულტეტის დებულებები.

კარგად არის დაგეგმილი და განხორციელებული გაწერილი პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება და შემდეგ უკვე უშუალოდ შეფასების შედეგებზე დაფუძნებით შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება-პრინციპის "დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, განავითარე" საფუძველზე.

ასევე მკაფიოა ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მუშაობა, რომლის საქმიანობაში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა და კომიტეტის საქმიანობაში მათი ჩართულობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღებას, არამედ პროგრამის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუმჯობესებელი ასევე იკვეთება, რომ თსუ-ში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა (მათ შორის შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან), მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით და სხვ. პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.

გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

ასევე საკმაოდ ეფექტურად მუშაობს კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელ შეფასებას და წარმოდგენს აკრედიტაციის პროცესის ერთგვარ სიმულაციას. რაც ხელს უწყობს შიდა ხარისხის შეფასების როლის გაძლიერებასა და კულტურის ამაღლებას.

კოლეგიალური შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აისახება

საგანმანათლებლო პროგრამაში.

აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ხდება კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ტრანსფორმირება ელექტრონულ პორტალებზე.

ამასთან, სასწავლო და კვლევითი პროცესის ელექტრონულ პორტალებზე ტრანსფორმაციის მიზნით მომზადდა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

✓ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების საუნივერსიტეტო წესის შემუშავება;

✓ შეფასების სისტემის რეგულირება სასწავლო კურსებში;

✓ აკადემიურ პერსონალს მიეწოდა ცალკეული სახელმძღვანელოები, ტუტორიალები და დოკუმენტები ელექტრონული სწავლების კონკრეტული ეტაპების იმპლემენტაციისათვის საგანმანათლებლო პროცესში; სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით გაიმართა სასწავლო პროცესი მართვის (lms) სისტემა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (Moodle);

✓ განახლდა და აქტუალური თემებით დაიტვირთა კითხვარები, რომლის შედეგების ანალიზი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად გამოიყენებულია ახალი ეტაპის დასაგეგმად და ელექტრონულ სწავლებაში გამოვლენილი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

ხარისხის სამსახურის მიერ მომზადდა ელექტრონული სწავლების გზამკვლევი, MOODLE-ის პლატფორმაზე დავალების და ტესტების შექმნის სახელმძღვანელოები, ზუმში Breakout Rooms-ის და Poll-ის გამოყენების ტუტორიალები, ორგანიზება გაუკეთდა საჭიროებებზე დაფუძნებულ ტრენინგებს.

ამდენად, შიდა ხარისხის მექანიზმი დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შემდგარ ციკლს გულისხმობს, რომლის მიზანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება.

ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამის მიერ გამოყენებული ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები გამართულია.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოიყენებენ ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა აქტიურად მიმდინარეობს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

რეაკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები) .

პროგრამის განმახორციელებელმა პროფესორ-მასწავლებელმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. რაც დასტურდება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფთან გასუბრებით. მათი თქმით, გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მათი

მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინების შედეგად, მოდიფიცირება გაუკეთდა კურსების თემატიკას, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 14.2)
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება (თავი V. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) (დანართი 12)
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებით) (დანართი 14.3)
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №46/2018 დადგენილებით) (დანართი 2)
- გამოკითხვის კითხვარები (დანართი 14.6)
- საგანმანათლებლო თემატიკის კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში და ვორკშოპებში მონაწილეობების აღწერა (დანართი 14.8)
- უნივერსიტეტის და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➤ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2017 წელს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 26 იანვრის №5 სხდომის №21 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია სრული შესაბამისობა ყველა სტანდარტთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა პანელის თავმჯდომარე იყო საერთაშორისო ექსპერტი და მან ვიზიტი განახორციელა ადგილზე, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტებმა და მათ ფარგლებში პარტნიორებისაგან მიღებულმა შეფასებებმა. პროექტების მიმდინარეობის პროცესში პროექტების საერთაშორისო კონსორციუმის წარმომადგენლების მიერ შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით ეფექტურად გამოიყენება გარე შეფასების შედეგები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის და სტრუქტურის გარე შეფასება განახორციელა:

გიოტენბურგის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორმა, რომლის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების პროცესში, დასკვნის მხედვით, „პროგრამა კარგად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს“.

ვილნიუსის უნივერსიტეტის (ლიეტუვა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, 2021 წელს წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, პროგრამა შეფასებულია, როგორც „უმალეს დონეზე შესრულებული პროგრამა - საერთაშორისო სტანდარტარების შესაბამისად“.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ინიციატივით დაფუძნებულ ხარისხის თემატური ჯგუფის შეხვედრებში, სამედიცინო განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყო სამედიცინო/ჯანდაცვითი განათლების ხარისხის ქვე-ჯგუფი, რომლის შეხვედრაზე მიმდინარეობდა აქტუალური საკითხების განხილვა, ადაპტაციის პროცესში მიღებული გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ხორციელდება ხუთი საერთაშორისო პროექტი: DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებული: Georgian-Norwegian Collaborative in Public Health; NIH (აშშ) დაფინანსებული ორი პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAsTern Europe და INITIatE - International Collaboration to increase

Traumatic Brain Injury Surveillance in Europe; ევროკავშირის დაფინანსებული Erasmus + ორი პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)” და „Building Academic Capacity in Global Health in the Eastern Europe - Central Asia Region”.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ხანმოკლე და ერთსემესტრიანი მობილობა ნორვეგიაში, რუმინეთში.

ნორვეგიის პროფესურასთან თანამშრომლობით ჩატარდა ერთობლივი კურსები, რომელსაც თსუ-ში მობილობით ჩამოსული ნორვეგიელი სტუდენტებიც ესწრებოდნენ, კურსები წარიმართა ნორვეგიელი პროფესორის ჩართულობით.

აღსანიშნავია, ისიც, რომ პროგრამის მომზადებისას სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია დამსაქმებლების რეკომენდაციებიც, მაგალითად: კურსდამთავრებულის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების კუთხით, პროგრამის სტრუქტურას დაემატა პრატიკის კომპონენტი.

აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

გარე შეფასების მექანიზმებს შორის ასევე გამოყენებულია კურსდამთავრებულების უკუკავშირი.

კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთან მიმდინარეობდა კომუნიკაცია, და მათი უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია ასევე აისახა პროგრამაში.

მაგალითად: პროგრამაში დამატებულია კვლევის მეთოდები, რაც იყო მათი რეკომენდაცია.

ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 26 იანვრის №5 სხდომის № 21 გადაწყვეტილება (დანართი 14.4)
2. ინფორმაცია მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ (დანართი 10)
3. გარე შეფასებები (დანართი 14.4)
4. უნივერსიტეტის და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი.
5. ინტერვიუს/ შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის შეფასებაში ჩართული არიან საერთაშორისო ექსპერტები,
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ხორციელდება ხუთი უმიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტი: DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებული: Georgian-Norwegian Collaborative in Public Health; NIH (აშშ) დაფინანსებული ორი

პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAsTern Europe და INITIatE - International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe; ევროკავშირის დაფინანსებული Erasmus + ორი პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)” და „Building Academic Capacity in Global Health in the Eastern Europe - Central Asia Region”.

- საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ხანმოკლე და ერთსემესტრიანი მობილობა ნორვეგიაში, რუმინეთში, ნორვეგიის პროფესურასთან თანამშრომლობით ხორციელდება ერთობლივი კურსები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით იკვეთება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მუდმივად მიმდინარე პროცესია, მუდმივად ხორციელდება პროგრამაში ცვლილებები, პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ასევე უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება სპეციფიური კრიტერიუმების და მონაცემების გამოყენებით ხორციელდება. მნიშვნელოვანია რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერება და ანალიზი, რაც პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველია.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება სისტემატური პროცესია, რომელიც ხარისხის სამსახურის ინიცირებით ტარდება 2005 წლიდან; გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება კითხვარების განახლებაც.

როგორც დოკუმენტებით, ასევე გასაუბრებებით ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ:

ა) სტუდენტები;

ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი;

გ) დამსაქმებლები;

დ) პროგრამის კურსდამთავრებულები.

ამ შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, როგორცაა:

სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასებას LMS ელექტრონულ ბაზაში;

სტუდენტთა კმაყოფილების შეფასებას LMS ელექტრონულ ბაზაში;

სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზებას და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და ტექნიკური საკითხების განხილვაში მონაწილეობას; შეხვედრებს პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტში ჩართულობას და სხვა.

სტუდენტებთან გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით ტარდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვები.

სტუდენტების თქმით, სასწავლო კურსებს ისინი აფასებენ 5 ქულიანი სკალით, თუმცა გარდა ამისა, მათ აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხის გარშემო. სტუდენტთა კმაყოფილების შეფასება გულისხმობს ხარისხის შესახებ კმაყოფილების განსაზღვრას და ფაკულტეტის სხვადასხვა სერვისის შეფასებას ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით.

გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა სტუდენტთა დამოკიდებულებები სასწავლო კურსების ონლაინ რეჟიმში წარმართვის შესაძლებლობასთან და კმაყოფილებასთან დაკავშირებით, რისი გათვალისწინებითაც მოხდა სწავლების ახალ ფორმატზე გადასვლა.

როგორც დოკუმენტებიდან, ასევე გასაუბრებების შედეგებიდან ჩანს, რომ მედიცინის ფაკულტეტის საერთაშორისო სტუდენტების 45% დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს, ხოლო 42,4% ნეიტრალურად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთილი ყველაზე ხშირად დასახელებული სამი შედარებითი პრობლემური ასპექტიდან: კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან - 17.4%; სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები - 15% • სწავლების მეთოდები - 13.8%. გააქტიურდა სტუდენტებთან შეხვედრები, ჩაღრმავებული გამოკითხვა, მყისიერი რეაგირება ქონდა ადმინისტრაციას სტუდენტების საჭიროებებზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუებით.

ამასთან, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორების მონაწილეობა შეფასების პროცესში ასევე ითვალისწინებს: აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევას; შეხვედრებს პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტში ჩართულობას და სხვა. რის შემდეგაც გამოკითხვის შედეგები ეგზავნება პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს. კომიტეტის სხდომაზე ხდება განხილვა და სათანადო რეაგირების მიზნით სათანადო ღონისძიებების შემუშავება.

აკრედიტაციის მზადების პროცესში შეფასდა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით განახლდა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ფაკულტეტის აკადემიურ

<p>პერსონალთან, მოეწყო აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის განხილვები პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად - პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების სხდომებზე;</p> <p>განხორციელდა ფაკულტეტის პროგრამაში შესული ცვლილებების, ახალი და გადამუშავებული სილაბუსების შეფასება, შემდგომი სრულყოფის მიზნით მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შეთავაზება, ცვლილებების შესახებ მასალის მომზადება ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად; პროგრამის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით გაანალიზდა აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად მიღებული ინფორმაცია, შესაბამისი მასალები და მტკიცებულებები.</p> <p>აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასებაში მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული მხარეები - გამოკითხვის, კომიტეტებში მონაწილეობის გზით და უკუკავშირის სხვა ფორმების გამოყენებით.</p> <p>მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი პროგრამა თანხვედრაშია UiT ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის მაგისტრატურის (120 კრედიტი) პროგრამასთან, სახელწოდებით: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, რომლის სტრუქტურული დიზაინი თსუს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მსგავსად წარმოდგენილია 10 კრედიტიანი კურსებით.</p> <p>მაგალითად: საზოგადოება, კულტურა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 10 კრედიტი, ჯანდაცვის ეკონომიკა და პოლიტიკა - 10 კრედიტი, ბიოსტატისტიკა-10 კრედიტი და სხვა..</p> <p>პროგრამის განვითარებისას მისი ძლიერი მხარეა სტუდენტების, კურსდამთავრებულების ხელშეწყობა საერთაშორისო დონეებზე, რაც გულისხმობს სხვადასხვა საგრანტო პროგრამაში მათ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ასახვას მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თსუ შიდა და გარე შეფასების პოლიტიკა (დანართი 14.1) • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 14.2) • სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დანართი 14.3) • გამოკითხვის შედეგები (დანართი 14.5) • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები (დანართი 14.6) □ უნივერსიტეტის და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი. • ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტების, კურსდამთავრებულების ხელშეწყობას საერთაშორისო დონეებზე, რაც გულისხმობს სხვადასხვა საგრანტო პროგრამაში მათ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების ასახვას მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვანი სამაგისტრო სანგამანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 59

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თამარ ლობჯანიძე /სახელი, გვარი/



ხელმოწერა


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნათია ნოლაიძელი /სახელი, გვარი/



ხელმოწერა

ჯილდა ჭეიშვილი /სახელი, გვარი/



ხელმოწერა

ირმა ქურდაძე /სახელი, გვარი/



ხელმოწერა

მირანდა ნონიკაშვილი /სახელი, გვარი/



ხელმოწერა